

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების შესარჩევი კონკურსის პირობები

სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის “სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუტების და პროცესების გაძლიერება“ ფარგლებში, 2013 წლის 23 ივლისს აცხადებს საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერების შესარჩევ კონკურსს შემდეგი საქმიანობის განსახორციელებლად:

- ა) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისათვის (საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები) საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის ჩატარება;
- ბ) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისათვის (საოლქო/საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები) საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო კურსის ჩატარების ორგანიზება;
- გ) შესრულებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა სწავლების ცენტრში.

ყურადღება!

კონკურსის შედეგად შერჩეული პირი, მის მიერ ტრენერის საქმიანობის განხორციელების პერიოდში უნდა იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი. ტრენერმა თავი უნდა აარიდოს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნას რომელიმე პარტიისა თუ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერად/წინააღმდეგ ქმედებად. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს ტრენერისათვის ხელშეკრულების შეწყვეტას.

კონკურსის პროგრამა:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
- გ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

სავალდებულო:

- ა) უმაღლესი განათლება (მაგისტრის, ან მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი);
- ბ) ტრენერად ან იურისტად მუშაობის გამოცდილება;
- გ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (MS Office Word, MS Office Excel, MS Office Powerpoint, Web Services (ინტერნეტი);
- დ) ინფორმაციის ზეპირი გადმოცემისა და აკადემიური წერის უნარი;
- ე) პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, პუნქტუალურობა, ორგანიზებულობა, კომუნიკაბელურობის, ყურადღების კონცენტრაციისა და ლოგიკური აზროვნების უნარი.

სასურველი:

- ა) იურიდიული განათლება;
- ბ) საარჩევნო სფეროში ტრენერად მუშაობის გამოცდილება;
- გ) საარჩევნო სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
- დ) საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება;
- ე) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;
- ვ) საარჩევნო სფეროში BRIGE -ის სერტიფიკატი;
- ზ) ეთნიკური უმცირეების ენის ცოდნა (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში ტრენინგის ჩატარების უზრუნველსაყოფად).

წარსადგენი საკონკურსო დოკუმენტაცია:

სავალდებულო:

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ (ცხრილის შესაბამისად):

განაცხადი				
კონკურსანტის სახელი, გვარი:	მისამართი:	ტელეფონი:	ელ.ფოსტა:	ვაკანსია, სადაც კონკურსანტს შემოაქვს განაცხადი (მიეთითოს მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის დასახელება)

ყურადღება!

- ▶ კონკურსანტი უფლებამოსილია განაცხადი შემოიტანოს მხოლოდ ერთ ვაკანსიაზე (შესაბამისი საარჩევნო ოლქის მითითებით). აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.
- ▶ საჭიროების შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია კონკურსანტს, მისი თანხმობის საფუძველზე, შესთავაზოს ტრენერის საქმიანობის განხორციელება მის მიერ განაცხადში მითითებული საარჩევნო ოლქის ნაცვლად სხვა ოლქში.

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) დიპლომის ასლი (საჭიროების შემთხვევაში ცნობა უნივერსიტეტიდან მინიჭებული ხარისხის შესახებ);

ე) ცნობა ტრენერად ან იურისტად მუშაობის შესახებ;

ვ) ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4.

სასურველი:

სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს კონკურსანტის შესაბამისობას სასურველ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ყურადღება!

- ▶ საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება წარმოებს 2013 წლის 23 ივლისიდან - 29 ივლისის ჩათვლით, ელექტრონული ფორმით, მისამართზე centre@electionreforms.ge;
- ▶ არასრულყოფილად წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, ასევე დაგვიანებით ან დოკუმენტაციის მიღებისთვის განსაზღვრულ ვადაში განმეორებით ან ნაწილ-ნაწილ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.

ვაკანსიები:

საარჩევნო ოლქი	ვაკანტური ადგილი
№2 ვაკე	2
№3 საბურთალო	3
№5 ისანი	2
№8 დიდუბე	2
№6 სამგორი	3
№9 ნაძალადევი	3
№10 გლდანის	3
№7 ჩუღურეთი	1

№1 მთაწმინდა	1
№4 კრწანისი	1
№11 საგარეჯო	2
№12 გურჯაანი	2
№13 სიღნაღი	1
№14 დედოფლისწყარო	1
№15 ლაგოდეხი	1
№16 ყვარელი	1
№17 თელავი	2
№18 ახმეტა	1

№22 მარნეული	3
№23 ბოლნისი	2
№24 დმანისი	2
№20 რუსთავი	3
№21 გარდაბანი	2
№25 წალკა	1
№26 თეთრიწყარო	1
№27 მცხეთა	1
№19 თიანეთი, №29 ყაზბეგი	1
№28 დუშეთი	2
№30 კასპი	1
№32 გორი	3
№33 ქარელი	1
№35 ხაშური	2
№36 ბორჯომი	1
№37 ახალციხე	1
№38 ადიგენი, №39 ასპინძა	1
№40 ახალქალაქი	2
№41 ნინოწმინდა	1
№43 ონი	1
№44 ამბროლაური	1
№45 ცაგერი	1
№46 ლენტეხი	1
№48 ხარაგაული	1
№50 საჩხერე	2
№56 ჭიათურა	2

№52 ბაღდათი	1
№55 ხონი	1
№53 ვანი	1
№54 სამტრედია	2
№51 ზესტაფონი	2
№49 თერჯოლა	1
№57 ტყიბული	1
№58 წყალტუბო	2
№59 ქუთაისი	3
№47 მესტია	1
№67 ზუგდიდი	3
№65 მარტვილი	1
№68 წალენჯიხა	1
№69 ჩხოროწყუ	1
№70 ფოთი	1
№63 აბაშა	1
№64 სენაკი	1
№66 ხობი	1
№60 ოზურგეთი	2
№61 ლანჩხუთი	1
№62 ჩოხატაური	1
№81 ქობულეთი	2
№83 ხელვაჩაური	1
№80 ქედა	1
№82 შუახევი	2
№84 ხულო	2
№79 ბათუმი	3

კონკურსის ფორმა:

ა) კონკურსანტების შერჩევა, რომლებიც ირიცხებიან საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ერთიან ბაზაში, განხორციელდება მხოლოდ მათ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე;

ბ) კონკურსანტების შერჩევა, რომლებიც არ ირიცხებიან საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ერთიან ბაზაში, განხორციელდება ორ ეტაპად: 1) მათ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებისა და 2) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების საფუძველზე.

კონკურსის გრაფიკი:

- ▶ კონკურსის გამოხცადება: 23 ივლისი, 2013 წელი;
- ▶ საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა: 23 ივლისიდან - 29 ივლისის ჩათვლით, 2013 წელი;
- ▶ საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა: 5 - 8 აგვისტო, 2013 წელი;
- ▶ კონკურსის შედეგები: 20 აგვისტომდე, 2013.

შენიშვნა:

კონკურსანტებს კონკურსის შედეგები ეცნობებათ მათ ელექტრონულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის ფორმით. ინფორმაცია შერჩეული კანდიდატების შესახებ აგრეთვე განთავსდება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.electionreforms.ge

საკონტაქტო პირი: დავით მაკარიძე - 598 45 25 96